№2753 2015 წლის 18 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „პეის ტერმინალისათვის“ იჯარის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „პეის ტერმინალისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ფოთში, ახალი პორტის მიმდებარედ არსებული 64790 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები: №1 - 138,3 კვ.მ; №2- 43,7 კვ.მ; №3 - 15.83 კვ.მ; №4 - 23.9 კვ.მ და №5 - 69.9 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №04.01.07.711) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 3 600 000 (სამი მილიონ ექვსასი ათასი) ლარად, საკუთრებაში გადაეცეს შპს „პეის ტერმინალს“ (ს/კ: 415095033).

2. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რომ შპს „პეის ტერმინალს“ (ს/კ: 415095033) იჯარის უფლებით გადასცეს ქალაქ ფოთში მდებარე 263.35 მეტრი ჰიდროტექნიკური ნაგებობა (დამბა) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო

კოდი: №04.00.135), შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის 12 000 (თორმეტი ათასი) ლარის გადახდის სანაცვლოდ.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა ამ განკარგულების საფუძველზე გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების დადებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში;

ბ) ამ განკარგულების საფუძველზე გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების დადებიდან არა უმეტეს 42 (ორმოცდაორი) თვის ვადაში, პირადად ან/და მესამე პირის მეშვეობით, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გადაცემულ უძრავ ქონებაზე სასაწყობე მეურნეობის შექმნა (მათ შორის, ინფრასტრუქტურის მოწყობა (რაც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) საპრივატიზებო ქონების ან/და მისი ნაწილის შემოღობვას, სანიაღვრე არხ(ებ)ის გაყვანას, სამანქანე გზ(ებ)ის მოწყობას, სარკინიგზო ხაზ(ებ)ის მოწყობას, წყლის და ელექტროენერგიის მომარაგების სისტემის გამართვას), აღჭურვა და ფუნქციონირების დაწყება;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების მიზნით, ამ განკარგულების საფუძველზე გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების დადებიდან 42 (ორმოცდაორი) თვის ვადაში, პირადად ან/და მესამე პირის მეშვეობით, არანაკლებ 3 000 000 (სამი მილიონი) ლარის ინვესტიციის განხორციელება შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

გ.ა) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 18 თვის ვადაში არანაკლებ 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარის ინვესტიცია;

გ.ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 თვის ვადაში არანაკლებ 2 000 000 (ორი მილიონი) ლარის ინვესტიცია;

გ.გ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 42 თვის ვადაში არანაკლებ 3 000 000 (სამი მილიონი) ლარის ინვესტიცია;

დ) ამ განკარგულების საფუძველზე გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების დადებიდან არა უმეტეს 8 (რვა) თვის ვადაში, პირადად ან/და მესამე პირების მეშვეობით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ №04.01.07.712 (მიწის (უძრავი ქონების)) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არანაკლებ 230 (ორას ოცდაათი) მეტრი სიგრძის და 6 (ექვსი) მეტრი სიგანის ბეტონის ან/და ასფალტის საფარიანი საავტომობილო გზის უსასყიდლოდ მოწყობა;

ე) ამ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებამდე, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გადაცემულ უძრავ ქონებაზე საავტომობილო გზის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ვ) ამ განკარგულების საფუძველზე გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების დადებიდან არა უმეტეს 8 (რვა) თვის ვადაში, პირადად ან/და მესამე პირის მეშვეობით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიერ მითითებულ მიწის ნაკვეთზე არანაკლებ 15 (თხუთმეტი) კვ.მ ფართის შენობის და არანაკლებ 1200 (ათას ორასი) კვ.მ ფართის მქონე ავტოსადგომის უსასყიდლოდ მშენებლობა და მოწყობა, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების იჯარის უფლებით გადაცემის პირობად განისაზღვროს ამ განკარგულების საფუძველზე გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების დადებიდან არა უმეტეს 18 (თვრამეტი) თვის ვადაში, ამავე უძრავ ქონებაზე სარეკონსტრუქციო/სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით,

არანაკლებ 150 000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელება.

5. შპს „პეის ტერმინალი“ ვალდებულია, ამ განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების და მე-4 პუნქტით გათვალისწინებული იჯარის უფლებით გადაცემის პირობის შესრულების უზრუნველსაყოფად (მათ შორის, ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობისათვის, ამ განკარგულების საფუძველზე გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის უზრუნველსაყოფად), შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმებამდე წარადგინოს არანაკლებ 315 000 (სამას თხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა ამ განკარგულების მე-3 პუნქტის „გ.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას უნდა აღემატებოდეს არანაკლებ 4 (ოთხი) თვით.

6. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**